ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

14 ოქტომბერი, კვირა, 1990 წ.
№ 190 (10965) ფასი 8 კაპ.

გამოდის 1924 წლის 13 აპრილიდან

რას არ შეგაძლებინებს თანადგომა!

ალბათ, ოშვიათია ქართველებივით ერი, რომელსაც შესწევდეს უნარი, ასე მეყსეულად აიტაცოს და გაითავისოს სპორტის ნებისმიერი სახეობა. ამაში თვალის ერთი გადავლებითაც კი დარწმუნდებით. ავიღოთ ჰიდაობის ისეთი სახეობა, როგორიც თავისუფალი ჭიდაობა. იგი „ამერიკულით“ შემოვიდა ჩვენში და პირველსავე საკავშირო ჩემპიონატს ტონი მისცეს ქართველმა ფალავნებმა. მათი დამსახურება ამ სახეობის განვითარებაში საკმაოდ არის ცნობილი. შემდეგ იყო ხელბურთი, ძიუდო, რაგბი და სხვა, რომლებშიც ქართველ ათლეტებს ტოლი არ ჰყავდათ და დღესაც ინარჩუნებენ წამყვან პოზიციებს.

ახლა კი — მკლავჭიდი. ქართველ ვაჟკაცებს არც ახლა შეურცხვენიათ თავი და ამ „ახალი ბილის“ დაპაშნიკებასაც წარმატება მოჰყვა, თანაც როგორი. ჯერ მოსკოვის ღია პირველობაზე არ ჰყავდათ ტოლი საქართველოს წარმომადგენლებს, სულ ახლახან ამავე ქალაქში გამართულ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაზე ზედიზედ დაჯანეს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის ათლეტები, შემდეგ ლამის თვით ამ სახეობის კანონმდებლებსაც — ამერიკელებს ტოლი არ დაუდეს და თანაბარ ბრძოლაში დაუთმეს პირველობა. ამერიკელებს მაშინ უთქვამთ: ამ მსოფლიო პირველობისა რა მოგახსენოთ, რომელიც ქარსაა მომდგარი, მაგრამ მერმისს მსოფლიო ფალავნობა რომ თქვენ გერგებათ, ეს აღარავის გვაეჭვებსო. ამერიკელები პრაქტიკული ხალხია და, ლიტონი სიტყვები რომ არ გამოსვლოდათ, იქვე მოსკოვში შეკპირდნენ ჩვენი გუნდის უფროს მწვრთნელს ვახტანგ მუსელიანს წლევანდელ პირველობაზე მიწვევას (არ დაგავიწყდეთ, რომ ეს სექტემბრის მიწურულს მოხდა). და მაინც, ჩვენმა ბიჭებმა ეს სტუმრის თავაზიანობად მიიღეს, რადგან ყველამ კარგად იცოდა, რომ ასეთ მოკლე ხანში შეუძლებელი იყო შორეული გამგზავრების თადარიგის დაჭერა, დროზე ჩასვლა ასპარეზობაზე, რომელიც დღეს, 14 ოქტომბერს იწყება კალიფორნიის შტატის ქალაქ პეტალუმაში.

მაგრამ, თურმე ამ ქვეყნად სასწაულებიც ხდება. 5 ოქტომბერს მოვიდა ოფიციალური მიწვევა... შემდეგ რაც მოხდა, ამის შესახებ ვესაუბრებით საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრი, სპორტული ფედერაციების საბჭოს თავმჯდომარე **ივანე ყიფიანი:**

— რა თქმა უნდა, ასეთ მოკლე ხანში მონაწილეთა საბუთების გაფორმება, სავალუტო ოპერაციების ჩატარება, რასაც ჩვეულებრივ 30 დღე სჭირდება, შეუძლებელია და გამგზავრებაზე ფიქრიც კი თითქოს ზედმეტი იყო. მაგრამ დიდი იყო ცდუნება ამ ასპარეზობაში მონაწილეობისა. წარმოიდგინეთ, ცენტრის გვერდის ავლით, საქართველოს დამოუკიდებელი ნაკრები გუნდი გამოდის მსოფლიო პირველობაზე. ეს ხომ შესანიშნავ პერსპექტივას გვისახავს, რომ ხვალ საერთაშორისო, ოლიმპიური კომიტეტის ალმის ქვეშ გავერთიანდებით. მონდომებას და თანადგომას საოცარი ძალა ჰქონია და თურმე შეუძლებელს შეგაძლებინებს. მადლობა უნდა მოვახსენო საქართველოს სააგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატს, მინისტრს ბატონ გიორგი ჯავახიშვილს, რომლის მითითებითაც ერთ დღეში მზად იყო უცხოური პასპორტები, ხოლო სამინისტროს წარმომადგენელმა ქალბატონმა ბაია ღვამიჩავამ მოსკოვში, ამერიკის საელჩოში ვიზები გააფორმა. ბნარი აგვიბეს აგრეთვე გაერთიანება „საქსამთოქიმიის“ გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოზ ცხაკაიამ და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორმა გურამ ჭაშაჯვილმა, რომელთა დიდი მეცადინეობითაც ვიშოვეთ უცხოური ვალუტა. დაბოლოს მადლიერება ვართ საგარეო ურთიერთობის საქართველოს ეკონომიკური ბანკისა, რომელმაც უყოყმანოდ მოგვცა თანხა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს ალბათ პირველი შემთხვევა იქნება, როცა ჩვენი სპორტსმენები გულნაკლულნი არ დარჩებიან. ეს „გულნაკლულობის კომპლექსი“ ხომ ნიადაგ თან სდევთ საბჭოთა ადამიანებს უცხოეთში იმის გამო, რომ მათ „წყლის დასალევი“ ფულიც არ უდევთ ჯიბეში. ამ მხრივ ჩვენი სპორტსმენები უზრუნველყავით. ვფიქრობ, ამაგი უნდა დაგვიფასდეს. ჩვენი ბიჭების მონდომება თავისას იზამს და ხელცარიელი არ დაგვიბრუნდებიან.

კალიფორნიაში საქართველოს დელეგაცია ამ შემადგენლობით გაემგზავრა: ზაურ ცხადაძე, გელა ბეწუაშვილი, ჯიმშერ შერაბიშვილი, ზაზა გუგენიშვილი, დავით ჩიტაძე, მწვრთნელი ვახტანგ მუსელიანი, მსაჯი ერეკლე შიშმელაშვილი, სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი პაატა ნაცვლიშვილი. დელეგაციის ხელმძღვანელია გურამ ომანიძე.

ესაუბრა
უშანგი ჭიჭინაძე.



ამ სურათზე აღბეჭდილი ზაურ ცხადაძე ერთ-ერთი პირველი იყო იმ ქართველ მკლავჭიდელთაგან, რომლებმაც უმოკლეს ხანში საკმაო უურადღებაც მიიპყრეს და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწიეს.

ანა დოღონაძე — „ბრინჯაო“ ესენიდან

ბონი. ქალაქ ესენში მიმდინარე ბატუტისტთა მსოფლიო პირველობაზე უძლიერესი იყო საბჭოთა კავშირის ნაკრები. წარმატება მოიპოვეს როგორც ქალთა, ასევე ვაჟთა გუნდებმა.

ქალებმა (189, 20 ქულა) 2,70 ქულით გაუსწრეს დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებს. 180,70 ქულით მესამე ადგილი გერმანიის მხტომელებს ერგოთ.

დიდი უპირატესობით გაიმარჯვა ვაჟთა გუნდმაც (200,70), რომელმაც 6,40 ქულით ჩამოიტოვა ასპარეზობის მასპინძლები. მესამეა დანიის გუნდი (189,80).

ქალთა პირად პირველობაში უძლიერესი იყო 18 წლის ლენინგრადელი სტუდენტი ელენა მერკულოვა (64,60), ვერცხლის მედალი დიდი ბრიტანეთის სპორტსმენმა სიუზან შალისმა დაიმსახურა (3,30), ხოლო „ბრინჯაოთი“ ბრუნდება შინ ჭართველი გოგონა ანა დოღონაძე, რომელიც მხოლოდ მეათედი ქულით ჩამორჩა მეორე პრიზიორს.

ვაჟებში იმარჯვა 20 წლის კრასნოდარელმა ალექსანდრ მოსკალენკომ (68,10), შემდეგ მოდიან ტაშკენტელი დიმიტრი პოლიარუში (68,10) და გერმანელი მიჭაელ კოუნი — 66,20.

• • •

სურათზე: ა. დოღონაძე.

„საქართველოს დღე“ პრეზიდენტთა ბრძოლის ველზე

ვეშვავე ტურს ბორჯომში თამამად შეიძლება „საქართველოს დღე“ ეწოდოს. სამი პარტია ჩვენი მოჭადრაკეების გამარჯვებით დასრულდა, მეოთხე კი — ასევე ჩვენთვის სასურველი შედეგით.

სი ჟუნმა და კახიანმა ესპანური პარტია გაითამაშეს. მას შემდეგ, რაც ჩინელმა მოჭადრაკემ ზედიზედ სამი გამარჯვება იზეიმა. მას ხელსაყრელი სატურნირო პერსპექტივები შეექმნა. რაც შეეხება კახიანს, მან პირველი ორი პარტიის წაგებით ფაქტიურად დაკარგა მაღალი ადგილისათვის ბრძოლის შესაძლებლობა, მაგრამ ჭეთევანმა არ დაყარა ფარ-ხმალი. პირიქით, თითოეულ ახალ შეხვედრას ახალგაზრდა დიდოსტატი მეტი აღმავლობით ატარებს, ამჯერად კი ნამდვილად შესანიშნავად ითამაშა. სი ჟუნმა ჩაკეტა ცენტრი და შეეცადა, როგორც ეს ესპანური პარტიისათვის არის დამახასიათებელი, შეტევა მოემზადებინა მეფის ფრთაზე. ამ ჩანაფიქრიდან არაფერი გამოვიდა. კახიანი მხედრით შეიპრა მეტოქის განლაგებაში, მისი გაცვლის შემდეგ კი გამსვლელი პაიკი შექმნა. მომდევნო ბრძოლაში ქართველმა მოჭადრაკემ აშკარად აჯობა მეტოქეს და დამსახურებულად გაიმარჯვა. გალიამოვაზე, ეტყობა, ძალიან იმოქმედა წინა პარტიის წაგებამ. ამჯერად მას მარიჩთან კარგი პოზიცია ჰქონდა, მაგრამ ჯეროვნად არ შეაფასა მეტოქის შესაძლებლობები და მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მარიჩმა მოიგო და საპრიზო ადგილისათვის ბრძოლის შანსიც გაუჩნდა. გაფრინდაშვილს დასკვნით შეხვედრებში მხოლოდ მოგებები აძლევდა ხელს. ამჯერად მან ძალიან კარგად წარმართა პარტია ახმილოვსკაია-დონალდსონთან, რომელიც თეორიით თამაშობდა, 39-ე სვლაზე გადაიცილა მოფიქრებისათვის დაწესებულ დროს და წაგება ჩაეთვალა. იოსელიანიმ, რომელიც თანდათანობით „შეეჩვია ეშხში“, დამაჯერებლად სძლია კლიმოვა-რიჰტეროვას და პირველ ადგილზე გადაინაცვლა.

გუშინ ტურნირზე გადადებული პარტიების დამთავრების დღე იყო. მაგრამ ყველა შეზვედრა ადრე დასრულდა და მონაწილეებს ზედმეტი დასვენების დღე „გამოუვიდათ“, დღეს კი ისედაც ისვენებენ. ხვალ ბოლო, მეშვიდე ტურში ერთმანეთს ხვდებიან გალიამოვა—კლიმოვა -რიჰტეროვა, იოსელიანი — სი ჟუნი, კახიანი — ახმილოვსკაია-დონალდსონი და გაფრინდაშვილი—მარიჩი. 8 მონაწილიდან კლიმოვას, ახმილოვსკაიასა და კახიანს არა აქვთ პირველ ან მეორე ადგილისთვის ბრძოლის შანსი, დანარჩენი 5 მონაწილე კი წარმატების მეტ-ნაკლებ შესაძლებლობას ინარჩუნებს. რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის მათ მიერ საპრიზო ადგილების გაყოფა და აქვე, ბორჯომში, დამატებითი შეჯიბრების მოწყობა.

თუმცა. ვნახოთ, მოვიცადოთ ორშაბათამდე...

მონაწილეთა სატურნირო მდგომარეობა დღეისათვის. ახლია:

	ჯ.	უ.	წ.	ქ.
იოსელიანი	2	4	0	4
გაფრინდაშვილი	3	1	2	3,5
სი ჟუნი	3	1	2	3,5
გალიამოვა	3	1	2	3,5
მარიჩი	2	3	1	3,5
კახიანი	1	3	2	2,5
ახმილოვსკაია	1	2	3	2
კლიმოვა	0	3	3	1,5

კარპოვმა „ოთხესვენება“ აიღო

12 ოქტომბერს უნდა შემდგარიყო ჰავანაში მსოფლიო პირველობის მესამე შეხვედრა გ. კასპაროვსა და ა. კარპოვს შორის. იმის გამო, რომ ა. კარპოვმა ტაიმ-აუტი აიღო, პარტია არ შემდგარა, იგი გაიმართება ორშაბათს, 15 ოქტომბერს.

ფელეტონი - ვარიანტი



რიო-დე-ჟანეირო. უცხოეთის კლუბებში მოთამაშე უძლიერესი ბრაზილიელი ფეხბურთელები ვერ მიიღებენ მონაწილეობას პელეს დაბადებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო მატჩში — განაცხადა პრეს-კონფერენციაზე ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტმა რიკარდო ტეიშეირამ.

მას შემდეგ, რაც გუნდს სათავეში ჩაუდგა ახალი მწვრთნელი რობერტო ფალკაო. — თქვა ტეიშეირამ, — გადავწყვიტეთ ნაკრებში აღარ მოვიწვიოთ ჩვენი „უცხოელები“. ამ მხრივ არც მომავალ მატჩში დავუშვებთ გამონაკლისს.

ასეთი გადაწყვეტილებით სულაც არ გავწბილებულვარ, — აღნიშნა პელემ, — რაკი პრეზიდენტს სურს, რომ ახალგაზრდობასთან ერთად უნდა ვითამაშო, დაე, ასეც იყოს. ყველაფერს ვიღონებთ, რათა თავიდან ავიცილოთ მარცხი.

როგორც ცნობილია, საიუბილეო მატჩი 31 ოქტომბერს გაიმართება მილანში.

საქართველოს სპორტსახკომში

გაიმართა საქართველოს სპორტსახკომის კოლეგიის მორიგი სხდომა.

განსახილველ საკითხთაგან უპირველესად ომხჭელეს რესპუბლიკაში ფარიკაობის სადღეისო მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების შესახებ. აღინიშნა, რომ ბოლო წლებში რესპუბლიკის ნაკრებმა გუნდებმა და ცალკეულმა სპორტსმენებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს, მაგრამ აშკარაა ისიც, რომ ამ სახეობის განვითარებას არაერთი ხერხემლილი ხარვეზი და პრობლემა აფერხებს. კერძოდ: ყურადღება გამახვილდა სპორტულ რეზერვთან მუშაობის ხარისხისა და მწვრთნელთა კვალიფიკაციაზე, მოფარიკავეთა მზადების ამუამინდელი ხისტემის გარდაქმნისა და ფარიკაობის განვითარების სტრატეგიული გეზის შეშუშავების აუცილებლობაზე. სათანადო დადგენილების მიღებისას ითქვა ისიც, რომ ამ დოკუმენტს დღევანდელი ვითარების შესაბამისად, არატრადიციულად უნდა მივუდგეთ, — არ უნდა შემოვიფარგლოთ გარკვეული პუნქტებისა და საკითხების სხვათაგან გამოცალკევებით, „დაწვრილმანებული“ შესრულებით. დადგენილება უნდა იქცეს ფარიკაობის შემდგომი განვითარების ყოველმხრივ გააზრებულ, საიმედოდ პერსპექტიულ პროგრამად. ამ საკითხზე მხჭელობას ბუნებრივად დაუკავშირდა საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის წესდების განხილვა, იხვევ, როგორც ძალოსნობისა და ტყვიის სროლის ფედერაციების წესდებებისა.

კოლეგიის წევრთა და დამსწრეთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ბავშვთა და მოზარდთა ექსპერიმენტული სპორტული სკოლის 1986-90 წლებში გაწეული მუშაობის შეფასებამ და ამ სკოლის საქმიანობის გაუმჯობესებისათვის აუცილებელ ღონისძიებებზე მხჭელობამ. გამომსვლელთა საერთო აზრით, ამ სკოლის ჩამოყალიბება მართლაც დროული და ფრიად სახარგებლო საქმე იყო: ახლეულობით მოზარდს თბილისის საუკეთესო ბაზებზე გაწვრთნების საშუალება მიეცა. ახლინ ლოწყდნენ ქუჩის მავნე გავლენას, ადრეულ ახაკშივე იძენენ ფიზიკური კულტურის ეხოდენ აუცილებელ ჩვევებს და ა. შ. ხწორედ ამიტომ, თქვა კოლეგიის ხხდომაზე, უველაფერი უნდა ვილონოთ ამ სკოლის საქმიანობის გაუმჯობესებლად და განსავართოებლად, არ დავიშუროთ გარჯა და ხანხრები, რათა შრავალი თხილისელი მოზარდის მიერ ახე შეთვისებულ ამ სკოლას ავაცილოთ ფინანსური თუ სხვა სახის პრობლემები. აღინიშნა ისიც, რომ ამ ხიახლით, გარდა ცნობილი მასობრივი გაჯანსაღების ეფექტისა, მყარი საფუძველი ექმნება გონივრულ სახელექციო მუშაობას დიდი სპორტისათვის.

დაინტერესებული ხჯა-ბაახი გამოიწვია კიდევ ერთმა საკითხმა — სპაბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით საქართველოს სპორტსახკომის, სპორტულ ორგანიზაციათა კომერციული საქმიანობის, სპონხორების მოზიდვის და ამ პროცესების განვითარების პერსპექტიულმა ამოცანებმა. განსაკუთრებული უურადღება გამახვილდა ამ საკითხებზე, რომ დაუხანებლად უნდა მოგვარდეს დამოუკიდებელ ეკონომიკურ ხელშეკრულებათა გაფორმების ხაქმე, შეწყდეს „ხოვინტერსპორტის“ ჩარევა საქართველოს გუნდებისა და სპორტსმენთა საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობისას, შესაბამისი ხელშეკრულებები დაიდოს საქართველოს სპორტსახკომთან.

მოისმინეს ხოხის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის ინფორმაცია ბოლო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ, განიხილეს ორგანიზაციული საკითხები.

ᲓᲐᲛᲘ ᲨᲘᲯᲠᲘᲡᲐ, ᲓᲐᲛᲘ ᲒᲐᲜᲡᲯᲘᲡᲐ

უჩოგნო ჩოგბურთელები

ჩოგბურთს ნაძალადევი პოპულარიზაცია და პროპაგანდა რომ აღარ სჭირდება საქართველოში, ეს უკვე ცნობილი ამბავია (სამწუხარო კი, რომ ამ შემთხვევაში საქართველო თბილისთან არის გაიგივებული, თუმცა ჩოგბურთი არ არის გამონაკლისი, ასეა სპორტის მრავალ სახეობაში). არც ის ფაქტია ეჭვშარიტებას მოკლებული, რომ მართალია, საქართველოში ამჟამად ერთი „სუპერჩოგბურთელი“ გვყავს — ლეილა მესხი, ვაჟებშიც ორიოდე სპორტსმენი მაინც წევს ამ თამაშის მწვერვალის ციცაბოებისკენ, მაგრამ ნიჭიერი ახალგაზრდები და ნორჩები მომრავლდნენ და ყურისგდება და პატრონობა ახლა სჭირდებათ, გასაჭანი უნდა მიეცეს მათ დღითი დღე მზარდ ნიჭსა და მონდომებას. თორემ შემდეგ ერთ წერტილზე „გაყინული“ სპორტსმენის ადგილიდან დაძვრა ერთობ საძნელო საქმეა.

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველოს ჩოგბურთელთა წარმატება (II გუნდური ადგილი) კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში არ ილევა ტალანტები. გიორგი ღარიბაშვილი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ჩოგბურთში, რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრების მწვრთნელი თავად ახლდა უკრაინაში სპარტაკიადის ტურნირზე, ჩვენს გოგო-ბიჭებს. წინასატურნირო მზადებამ სხვა მწვრთნელებთან ერთად მის მხრებზეც გადაიარა და ამიტომ თანამოსაუბრედ მისი შერჩევა არ არის შემთხვევითი. ისიც გავითვალისწინოთ, რომ ბატონი გიორგი ოთხ ათეულ წელზე მეტია ჩოგბურთს ემსახურება (როგორც სპორტსმენი და როგორც მწვრთნელი).



● დასაწყისში კიდევ ერთხელ გაიხსენოთ სპარტაკიადაზე ჩვენი ჩოგბურთელების გამოსვლა.

— ჩვენი გუნდის ღირსებას 8 სპორტსმენი იცავდა — 4 ვაჟი და 4 გოგონა. იოსებ სიამაშვილი, დავით ოძელაშვილი, დავით გოგილაშვილი და მიხეილ მღებროვი. ქალთა გუნდიდან— მაია აბაშიძე, ნინო ლუარსაბიშვილი, მაკა წიწუაშვილი და ანა გასპარიანი. უკვე პირველ დღეებში თორმეტი გუნდი ასპარეზობდა. ჩვენ სამ მათგანთან მოგვიხდა ბრძოლა; პირველად უბზეკ ჩოგბურთელებს ვძლიეთ — 8:0; შემდეგ მოსკოველებს — 6:4 და ფინალში გავედით, სადაც ჩვენი მეტოქე მასპინძელთა ძლიერი კოლექტივი იყო. მართალია, უკრაინელებთან დავმარცხდით, მაგრამ გამარჯვებასთან ახლოს ვიყავით; უფრო სწორად, რომ იტყვით, უკვე მოგებული ოქროს მედლები წავაგეთ. 3 ქულის ხვეობით — 5:2 მიგვყავდა ანგარიში, ერთი გამარჯვებაც და ჩემპიონები ვიქნებოდით, მაგრამ ზედიზედ დამარცხდნენ მ. წიწუაშვილი, ა. გასპარიანი და ი. სიამაშვილი. ანგარიში გათანაბრდა — 5:5. კიდევ იყო მოგების შანსი, მაგრამ მ. მღებროვმა და ა. გასპარიანმა დათმეს შერეული წყვილთა ორთაბრძოლა და დავმარცხდით — 5:6, თუმცა ესეც დიდი მიღწევაა, მით უმეტეს, სპარტაკიადის წინ მხოლოდ III-V ადგილებს ვგეგმავდით.

სპარტაკიადის მონაწილეთაგან ორი სპორტსმენი: მ. მღებროვი და ნ. ლუარსაბიშვილი პროფკავშირების ჩოგბურთისა და ბადმინტონის სპორტსკოლის (დირექტორი ლ. ჭურხაშვილი) აღსაზრდელები არიან, მაია აბაშიძე — სახალხო განათლების სამინისტროს ჩოგბურთის სკოლისა (დირექტორი თ. ქაჯაია), დანარჩენებმა „დინამოს“ სპორტსკოლაში (დირექტორი გ. თოხაძე) აიმაღლეს ოსტატობა.

ის, რომ ჩვენი გუნდი სპარტაკიადის პრიზიორია, მწვრთნელთა კოლექტივის დიდი დამსახურებაა, დავით ნოზაძე, ვიქტორ ბაქში, რეზო აბჟანდაძე — ამ ადამიანებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ჩვენი სპორტსმენები ღირსეულად გამოსულიყვნენ უკვე ოროლის კორტებზე. რ. აბჟანდაძე ჩემთან ერთად თან ახლდა გუნდს შეჯიბრებაზე.

● რამდენადაც ვიცი, გუნდი მთლიანად ობილისელი მოსწავლეებით იყო დაკომპლექტებული, როდემდე გაგრძელდება ასე?

— როდემდე და, ვიდრე სხვა ქალაქებში მაღალკვალიფიციური მწვრთნელები არ იმუშაებენ. საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი კორტებით ვერ დავიკვეხნით, მაგრამ რაც გვაქვს, მას მოხმარება სჭირდება. მაგალითად, ბათუმში, სოხუმში და თელავში რვა-რვა კორტია, ქუთაისში — 6, რუსთავში — 4, მაგრამ არ არიან მწვრთნელები, რომ იმუშაონ ბავშვებთან.



● მაინც რას უჩივიან მწვრთნელები, რატომ ერიდებიან რესპუბლიკის სხვა ქალაქებში „მიგრაციას?“

— მაპატიეთ, მაგრამ დღეს ამას აღარ კითხულობენ. ჩვენი გაჭირვებული ცხოვრების შემყურეთათვის ყველაფერი ნათელია. დაბალია ხელფასები, არ არის ნორმალური სოციალური პირობები, რომ სპეციალისტები შეელიონ მშობლიურ ქალაქს და პერიფერიებს მიაშურონ. ეს რომ მოსთხოვო, კაცი რაღაცით ხომ უნდა დააინტერესო, წაახალისო. არის კიდევ მრავალი წვრილმანი ხელშემშლელი ფაქტორი.

● თბილისში? აქ კი არის ყველა პირობელმა მოგვარებული?

— საზღვარგარეთის კორტებთან შედარებით ჩვენი საჩოგბურთო ბაზების კონკურენტუნარიანობა რომ ძალზე დაბალია, ეს უკვე მოგახსენეთ. სასაცილო კია, მეოცე საუკუნის მიწურულის სპორტსმენი ხეირიანი ჩოგნის უჭირლობას უჩიოდეს, მაგრამ. სამებედუროდ, ამ თემაზე გვიხდება საუბარი. „უჩოგნო ჩოგბურთელები“ მომრავლდნენ ჩვენში, რა თქმა უნდა, უცხოური ჩოგნების ვგულისხმობ, თორემ საბჭოური წარმოებისა გინდ გქონია, გინდ არა, მაინც არაფერში გამოგადგება. წარმოიდგინეთ, ბურთი რომ ბურთია, მის ნაკლებობასაც განვიცდით. ეს ეხება როგორც ცალკეულ სპორტსკოლებში მოვარჯიშე ჩოგბურთელებს, ასევე საქართველოს ნაკრების წევრებსაც. მხოლოდ თითო-ოროლა მაღალი კლასის ჩოგბურთელი ახერხებს ინდივიდუალურად კონტრაქტების დადებას უცხოეთის სპორტული ინვენტარის მწარმოებელ ფირმებთან და მათი პროდუქციით სარგებლობას. მაგრამ ეს ზღვაში წვეთია, ვიდრე საერთაშორისო აღიარებას მოიპოვებენ, მანამდე რა ქნან ჩოგბურთელებმა? ინვენტარის ის რაოდენობა, რასაც რესპუბლიკის სხვადასხვა სპორტული ორგანიზაცია გვიწილადებს ხოლმე შეჯიბრების წინ, ერთობ მცირეა.

● მაგრამ ახეთ პირობებშიც ახერხებენ ჩვენში ერთეულები მსოფლიო ავტორიტეტის მოპოვებას...

— ახერხებენ: ლეილა მესხი, ვლადიმერ გაბრიჩიძე, დავით კაპარავა... მერედა, როცა მსოფლიოში ჩოგბურთის ბუმია, გამართლებულია ერთეულთა იმედად ყოფნა? არადა, პერსპექტივა მართლაც შესანიშნავია, იზრდება ნიჭიერი ახალგაზრდობა, ამასთან, არც მონდომება აკლიათ. არც შრომისუნარიანობა. ერთ სატკივარსაც მინდა შევეხო — ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემის მოგვარება საერთაშორისო კონტაქტების გაფართოების გარეშე არ მოგვიხერხდება. უცხოეთის ტურნირებში თამაში კი მართლაც ჭირს, უმთავრესი მიზეზი კი უსახსრობაა. მაგალითს მოგახსენებთ: იაპონიის ღია ჩემპიონატზე, რომელიც ოქტომბრის მიწურულს დაიწყება, მიწვეულნი არიან ეკა ბოკუჩავა და ნინო ლუარსაბიშვილი, მაგრამ, არამც თუ ვალუტა. საბჭოური მანეთებიც ვერ გამოვნახეთ, რომ გოგოები მივავლინოთ იაპონიაში (თითო ჩოგბურთელისათვის 3000 მანეთია საჭირო მგზავრობისათვის), თქვენ წარმოიდგინეთ, იაპონელებმა ისიც გვაუწყეს, ოღონდ აქ ჩამოდით და თქვენს უკან დაბრუნებაზე ჩვენ ვიზრუნებთო. ამ სიტყვების ქვეტექსტი შემზარავია, თქვე გაჭირვებულებო, რალაც 4250 მანეთი როგორ ვერ უნდა იშოვოთ, რომ აქამდე ჩამოაღწიოთო (სწორედ 4250 მანეთი ჯდება სპორტსმენების თბილისიდან იაპონიაში ჩასვლა). არადა, ყველა ფორმალური მზარე მოგვარებულია, გამგზავრებას წინ არაფერი უდგას... ფულის გარდა. ვთქვათ, დღეს შევაწუხეთ ერთი ორგანიზაცია და გვაჩუქა ფული, ხვალ მეორე, როდემდე ვივლით ხელგაშვერილები კარდაკარ. საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის (სისტემატურად) გარეშე ჩოგბურთელის კლასის ამაღლებაზე, მით უმეტეს, მსოფლიო რანგის მოთამაშის გაზრდაზე ლაპარაკიც ზედმეტია. უცხოეთში მოზარდები სხვადასხვა ასაკობრივ ტურნირებში ლამის თვეში სამჯერ სცდიან ძალებს, ამიტომაც აქვთ დალხინებულად საქმე.

უთუოდ დამაფიქრებელია გიორგი ღარიბაშვილის ნაამბობი. მართლაც, რასაც დავთესთ, იმას მოვიმკით. ჰარნახულის აღება იცოცხლეთ, კარგი ვიცით, ერთმანეთს ვეცილებით ხოლმე მის დანაწილებაში (სპორტსაზოგადოებები, სპორტსკოლები. მწვრთნელები), ხნულში თესლის ჩამგდები კი თითებზე ჩამოგვეთვლება. ყველგან და ყველაფერში საფუძველი რომ უმთავრესია, ამის მტკიცება არც ღირს. რადგან იგი დიდი ხანია ჭეშმარიტებაა.

ლევან ჯავახიშვილი

ᲘᲛ ᲣᲙᲣᲚᲛᲐᲠᲗ ᲓᲠᲝᲨᲘ

ᲨᲘᲚᲑᲚᲝ ᲛᲔᲙᲐᲠᲔ

ზესტაფონელებს ახლაც კარგად ახსოვთ ქალაქის ცენტრში მდებარე მოედანი, რომელიც პლაცის სახელწოდებით იყო ცნობილი. 1918 წელს, როცა საქართველოში გერმანიის ჯარები შემოვიდნენ, მისი მცირე ნაწილი ზესტაფონში მდგარა და გერმანელ ჯარისკაცებს უწოდებიათ ამ მოედნისთვის პლაცი.

სწორედ პლაცის „დამსახურებაა“, რომ ქალაქის ქუჩები განტვირთული იყო მოზარდებისა და ახალგაზრდებისაგან, რომლებიც დილიდან საღამომდე ბურთს დასდევდნენ.

სამწუხაროდ, რაიონის ერთი პერიოდის ხელმძღვანელობამ ყოვლად გაუმართლებელი გადაწყვეტილება მიიღო — სპორტული მოედანი ჯერ „შეავიწროვა“, შემდეგ სულ სხვა დანიშნულებისთვის გამოიყენა, არადა, ამ მოედანთან არის დაკავშირებული რაიონის სპორტის ისტორიის დასაწყისი, რომლის მონაწილეც თავად გახლავართ და, რაც მთავარია, აქ „აიდგა ფეხი“ ზესტაფონის საფეხბურთო გუნდმა და მისმა ლეგენდად ქცეულმა მეკარემ — ალიოშა გაჩეჩილაძემ.

დღესაც დადის დაუჯერებელი ბჭები ამ საოცარი კაცის შესახებ: მატჩის დროს, როცა ბურთს ალიოშას თანაგუნდელები მოედნის ცენტრს გადააცილებდნენ, იგი კარის ზედა ძელზე შემოკიდებოდა და ისე ადევნებდა თამაშს თვალს. ამ დროს მეტოქე გუნდის რომელიმე მოთამაშე შეხმაურდა ალიოშას ამ „უჩვეულო პოზაში“ და საკუთარი საჯარიმოდან ძლიერი დარტყმით შეეცდებოდა დაარხეინებული მეკარის კარში ბურთის გატანას, მაგრამ ალიოშა თადარიგსაც არ დაიჭერდა — პირდაპირ ძელიდან ისკუპებდა და ზვიდან დააცხრებოდა ბურთს. რაც მთავარია, ალიოშა გაჩეჩილაძეს ფანატიკურად უყვარდა ფეხბურთი და ზესტაფონის გუნდისთვის, რომლის დამაარსებელი და კაპიტანიც თავად იყო, სულსაც არ დაიშურებდა.

...ეს ამბავი 1930 წელს მოხდა. პირველი მაისის წინა დღეებში რაიონის სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობამ ალიოშას დაავალა — საპირველმაისო ზეიმზე ფეხბურთელთა გუნდი ქალაქის სპორტსმენთა კოლონას უნდა ჩაუდგეს სათავეში. ალიოშამ გაიხარა. თავისი გუნდის დაფასებად აღიქვა ეს ამბავი. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ გუნდს ფორმა არ ჰქონდა. გუნდის ყოჩაღმა კაპიტანმა ფორმაც მოულოდნელად იშოვნა და თანაგუნდელებთან ერთად დემონსტრაციაზე წინ გაუძღვა თანაქალაქელ სპორტსმენებს. მაგრამ ზეიმი ჯერ არ იყო დამთავრებული, რომ ალიოშა გაჩეჩილაძემ და მისმა გუნდელებმა მილიციის უფროსის კაბინეტში ამოყვეს თავი. მიზეზი? პირველი მაისის წინა დღეს ალიოშას „კულტმაღაზიის შეწობის კედლის ქვეშ ხვრელი გაეყვანა. მაღაზიაში შესულიყო და ფორმა გამოეტანა. ეს ფორმა ჩააცვა თანაგუნდელებს და ასე გაიყვანა საპირველმაისო დემონსტრაციაზე. მე არ ვცნობ თავს დამნაშავედ, განუცხადებია ჯიუტად ალიოშას, — ფორმა სახლში კი არ წამიღია. გუნდს ჩავაცვი და იმ დღესვე ვაპირებდი დაბრუნებასო. მაგრამ, იმ უკუღმართ დროში ვის რას აპატიებდნენ, რომ ალიოშასთვის მიეტევებინათ 16 ხელი საფეხბურთო ფორმის „ქურდობა“. დიახ, მას 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, თანაც გადასახლებით. არადა, საწყალს, ჯერ ნოჭრისთვის უთხოვია. მისგან უარი მიუღია და მერეღა გადაუდგამს ეს უცნაური, სახიფათო და ტრაგიკული ნაბიჯი.

გავიდა წლები. ივნისის ერთ საღამოს ზესტაფონის სტადიონზე ორი ადგლობრივი გუნდი თამაშობდა. სტადიონი სავსე იყო მაყურებლებით. მატჩი მთავრდებოდა, როცა სტადიონზე საშუალო ტანის, გამხდარი კაცი შემოვიდა, მოედნის გვერდით ხაზს მიუახლოვდა, შეჩერდა, მობურთალებს თვალი გადაავლო, ღრმად ამოიხვნეშა და თვალები ცრემლით აევსო...

ეს ხომ ალიოშა გაჩეჩილაძეაო — წამოიძახა ერთმა და მყის შეჩოჩქოლდა ხალხი. დიახ, ალიოშა დაბრუნებოდა მშობლიურ ქალაქს და, უპირველესად, სტადიონისკენ წამოსულიყო. ბურთი აიღო, გააგორა, რამდენიმე ილეთი გააკეთა. მალე დაიღალა, შეჩერდა და საშინელი ხველა აუტყდა, მანდორზე ჩამოჯდა, შეუძლოდ გახდა. ფეხბურთელები მისცივდნენ, წამოაყენეს და სახლამდე მიაცილეს... კატორღულ შრომას და ციმბირის მისი ჯანმრთელობა შეერყია.

ამ ამბის შემდეგ იგი სტადიონზე არ გამოჩენილა. მერე გავიგეთ, რომ ალიოშა გაჩეჩილაძე აბასთუმანში დასახლებულა და აქ დაუსრულებია თავისი სიცოცხლე.

ᲕᲝᲢᲐ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ

ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲘ ᲗᲐᲜᲐᲢᲝᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

უაღრესად რთულ და დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა შეჯიბრება, რომელშიც განსაკუთრებით ბოლოს გაიწვავდა, როცა შეუპოვრად ათამაშდა ხობელი ზურაბ ტყებუჩაია (მწვრთნელი მამუკა გეთია). მან 13 შესაძლებლიდან 10,5 ქულა დააგროვა და ჩემპიონის სახელი მოიპოვა ბათუმში დამთავრებულ საქართველოს მოსწავლეთა პირველობის ფინალურ ასპარეზობაში ჰადრაკში, სადაც ზონალურ ტურნირებში გამარჯვებული 12 წლამდე ასაკის 14 უძლიერესი მოზარდი მონაწილეობდა.

მეორე ადგილი დაიკავა თბილისელმა ვიქტორ დუნდუამ, ხოლო მესამე — რუსთაველმა თამაზ გელაშვილმა.

ᲛᲔᲓᲔᲐ ᲙᲝᲛᲑᲐᲘᲫᲔ,
ხობის რაიონულ გაზეთ „ხამეგრელოს“ სპორტული განყოფილების გამგე.

ფარმატებებს არ დაუგვიანია

კაბა ხაბურზანიამ სულ ხუთიოდე წელია, რაც სერიოზულად მოჰკიდა ხელი ჭადრაკს და უკვე არაერთი მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. შარშან, თბილისის მოსწავლეთა ჩემპიონობასთან ერთად ჯერ „დინამოს“ (რომლის ღირსებასაც ადრე იცავდა), ხოლო შემდეგ „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე იასპარეზა წარმატებით და შესაბამისად გუნდური, შემდეგ პირადი პირველობები მოიგო. ახლა კი, მორიგ წარმატებას მიაღწია ოლიმპიური რეზერვების [illegible] ლის აღსაზრდელმა: ლენინგრადში, საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალზე, რომელიც შვეიცარიული სისტემით გაიმართა, კაბა ხაბურზანიამ (მწვრთნელი ვ. ურიდია) 8,5 ქულით III-VII ადგილები გაიყო უძლიერეს მეტოქეებთან ბრძოლაში. თუ გავითვალისწინებთ, რომ „ბ“ ჯგუფში, სადაც კაბა ასპარეზობდა, ორასამდე მოჭადრაკე სცდილა ძალას, და მათ შორის იყვნენ ინგლისელი, გერმანელი, ბულგარელი და პოლონელი სპორტსმენები, ქართველი პაბუკის წარმატე-

როგორ გვისაროდი, როგორ დაგვამწუხრე

შემართული ხმალივით მიგვიძღოდა

ულრმესი მწუხარებით ვართ შეპყრობილი ყველანი, ვისაც კი ჩვენს სწორუპოვარ ბორის პაიჭაძესთან ერთად გვითამაშია თბილისის „დინამოში“ ჯერ კიდევ ომამდე. ეს მაშინ, როცა საქართველოს პირველი გუნდი ჯიქურ შეიჭრა საბჭოთა ფეხბურთში, იმდროინდელ ფავორიტებთან ბრძოლაში ერთხელ და სამუდამოდ თვალნათლივ ცხადყო თავისი სიძლიერე და მაღალი სპორტული თვისებები. მარადჟამს ბორის პაიჭაძე გვედგა სათავეში. სხვადასხვა დროს იგი იყო დინამოელთა წამყვანი ფეხბურთელი, მთავარი მწვრთნელი, გუნდის უფროსი და, დიდიდან საქართველოს საუკეთესო საფეხბურთო კოლექტივის არსებობისა, მისი ოცნების, მისი ნატვრის საგანი და ცხოვრების აზრი გახლდათ თბილისის „დინამო“. გუნდისა და თვით ბორის პაიჭაძის პირადი ცხოვრება ისე იყო გადაჯაჭვული ერთმანეთს, რომ მათი დაშორება, ფაქტიურად, შეუძლებელი იყო. გუნდის ინტერესებით ცოცხლობდა ჩვენი ბორია, მასზე ზრუნავდა, მისთვის ღვწოდა.

ვინ ვინ და ჩვენ ყველაზე უფრო კარგად ვიცით, რას წარმოადგენდა თბილისის „დინამოსთვის“ ბორის პაიჭაძე. შემართული ხმალივით მიუძღოდა წინ გუნდს, ამსხვრევდა ყოველგვარ ჯებირს, ყოველგვარ წინააღმდეგობას. დაღლა არ იცოდა, დღენიადაგ იბრძოდა, იბრძოდა, იბრძოდა. კარგად გვახსოვს, როგორ გაოგნებულნი იყვნენ ჩვენი იმდროინდელი მეტოქენი ფეხბურთელები. ვერ გაეგოთ, რა ენერგია, რა შინაგანი ძალა ამოძრავებდა ამ ტანშეკრულ, კრკეტა კაცს, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა თვით უძლიერეს მცველებსაც კი. ვინ მოთვლის, რამდენჯერ გადაურჩენია გუნდი ბორის პაიჭაძეს. ხშირად ეს ხდებოდა მაშინაც კი, როცა დანარჩენები თითქოს შეურიგდებოდნენ ხოლმე დამარცხებას, შეურიგებელი კი მხოლოდ ის იყო — ჩვენი დიდი ფეხბურთელი, დიდი ბორის პაიჭაძე. ჩვენს შორის იყვნენ მეკარეებიც, მცველებიც, ნახევარმცველებიც, თავდასხმელებიც და ყველანი ერთი გრძნობით ვეყავით ატაცებულნი: არ გაგვეწბილებინა ჩვენი მაყურებელი, არ შევრცხვენილიყავით ჩვენი გულშემატკივრების წინაშე, არ შევრცხვენილიყავით ბორის პაიჭაძესთან, რომელიც ალამივით შემართული მიგვიძღოდა წინ, მიგვიძღოდა გამარჯვებებისკენ.

იმდროინდელი გუნდის შემადგენლობიდან მრავალი წავიდა ამ ცხოვრებიდან. სამწუხაროდ, მათს გზას ახლა თვით ბორის პაიჭაძეც ეკუდგა! რას იზამ, ცხოვრება ასეთია, სიკვდილი ულმობელი და გარდუვალი რამ გახლავთ.

ჩვენ, ის ფეხბურთელები, რომლებიც ომამდელ წლებში გამოვდიოდით ბორის პაიჭაძის მხარდამხარ, დღენიადაგ ვგრძნობდით მის ვაჟკაცურ მხარდაჭერას და თანადგომას. არ არსებობდა გაჭირვება, უბედურება, რომ ბორის პაიჭაძე იქ არ მდგარიყო, არ გაემხნევებინა, მხარში არ ამოსდგომოდა შეჭირვებულთ. ფეხბურთის მინდვრის რაინდი ცხოვრებაშიც ალალი და შეურცხვენელი კაცი იყო.

რაღა დაგვრჩენია, საუკუნო მშვიდობა და განსვენება უნდა გუსურვოთ ჩვენს სახელოვან ალამდარს.

თბილისის „დინამოს“ ომამდელი შემადგენლობის ფეხბურთელები: **ბაიოზ ჯეჯელავა, ბრიგორლ გაგუა, ვალოდია ბერძენიშვილი, ასლან ხარბედია, ტიტე ჯორჯიკია, ბიძი იოსელიანი, რეზო კავსაძე, ლერი ლოლაძე, კიკა ხინთიბიძე.**

ჩვენს ხელთაა ძველისძველი ფოტო სურათი, რომელზეც აღბეჭდილია 1941 წლის თბილისის „დინამო“ მოსკოვის სტადიონზე, საკავშირო კალენდარული მატჩის წინ ბორის პაიჭაძის მეთაურობით. მარცხნიდან: ბორის პაიჭაძე, გივი იოსელიანი, ამირან ტუებუჩავა, ბორის ფოლოვი, მიხეილ ბერძენიშვილი, ჯანსულ კინწურაშვილი, არჩილ კოკნაძე, ტიტე ჯორჯიკია, ვიქტორ პანიუკოვი, კუკა ფიხლევანიდი, ვსნჩუკ ჩერედნიჩენკო, ვიქტორ ბერეუნოი, ვლადიმერ ჯორბენაძე, თენგიზ გავაშელი, გრიგოლ ჭელიძე, გაიოზ ჯეჯელავა.

ბორის პაიჭაძის დამცრძალავი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 14 და 15 ოქტომბერს 19 საათზე განსვენებულის ბინაში, ილია ჭავჭავაძის პროსპექტი № 39, I სადარბაზო.

16 ოქტომბერს სამოქალაქო პანაშვიდი შედგება რესპუბლიკის ეროვნულ სტადიონზე 12-14 საათზე. სამგლოვიარო მიტინგი დაიწყება 14 საათსა და 30 წუთზე, გამოსვენება 15 საათზე.

დაკრძალვა — საბურთალოს სასაფლაოზე.

ეშინოდათ, როგორც ცეცხლისა

მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელები ფართოდ იყენებდნენ დაცვის ხაზში ადგილების გადანაცვლებას. მათვე პირველად დანერგეს დღემდე არსებული პრინციპი — ზონური დაცვისა და პერსონალური „მეურვეობის“ შეხამება. თბილისის დინამოელებმა კი პრაქტიკაში შემოიღეს თავდასხმის მოხერხებული ცენტრით თამაშის ტაქტიკა. ბორის პაიჭაძემ — სწრაფმა და ბრწყინვალე დრიბლიორმა, რომელიც ამასთან ძლიერად და ზუსტად ურტყამდა კარში, საუკეთესო შედეგებს მიაღწია და მცველებს მისი ეშინოდათ, როგორც ცეცხლისა.

მახსენდება ერთი ეპიზოდი. ოცდათიანი წლების მიწურულში „სპარტაკი“ ამ გუნდს თბილისში ეთამაშებოდა. ჩვენი შეტევა ჩაიშალა და მეტოქე სწრაფ კონტრიერიაზე გადავიდა. თბილისელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ბორის პაიჭაძემ მყის გადაინაცვლა მარჯვენა ფრთაზე, სადაც მას ბურთი მიაწოდეს. შეიქმნა საშიში მდგომარეობა. თავდასხმით გართულებამ, გავაშიშვლეთ ფლანგები და პაიჭაძე შეუფერხებლად გაემართა კარისკენ. რა ვქნა? ცენტრალური ზონის დატოვება არ შემიძლია. აქ მაკავებს ცენტრში გადმონაცვლებული გაიოზ ჯეჯელავა, რომელიც პაიჭაძის ტემპთან ფეხშეწყობით წინ მიიწევს. ასეთ სიტუაციაში პაიჭაძისათვის გზის გადაჭრის ცდა უგუნურებაა. იგი გრძელი გადაცემით ბურთს მიაწვდის ჯეჯელავას, ეს უკანასკნელი კი ბურთიანად კარის წინ აღმოჩნდება.

დავიწყე უკანდახევა, რომლის დროსაც განუწყვეტლივ ვემყოფებოდი პაიჭაძისა და ჯეჯელავას შორის, რათა უკანასკნელ მომენტში თავს დავსხმოდი პაიჭაძეს და კარში დარტყმის საშუალება არ მიმეცა მისთვის, ხოლო თუ იგი ეცდებოდა ჯეჯელავასათვის ბურთის გადაცემას, მაშინ მომესწრო გაიოზზე ეერიშის მიტანა.

პაიჭაძეს ოსტატურად მიჰყავდა თამაში. მას შესანიშნავად ესმოდა, რომ იერიშის შედეგს გადაწყვეტდა სანტიმეტრები და წამები. კრიტიკულ მომენტში თავს დავესხი პაიჭაძეს; მაგრამ მან ელვის სისწრაფით მიპასუხა — ეს იყო გამჭოლი გადაცემა ჯეჯელავას მისამართით. ჩასროლწარკვეთილმა ვცადე ამ გადაცემის ჩაშლა, ბურთს ფეხით გადავწვდი და ბუცის წვერით... საკუთარ კარში მოვათავსე.

ანდრეი სტაროსტინი
წიგნიდან „დიდი ფეხბურთი“.



ბორის პაიჭაძეც „ბავშვობიდან მოვიდა“ და ეს ყოველთვის ახასიათებდა მას. დიდი ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ არც პატარებს აკლებდა ყურადღებას. იგი მრავალი წლის განმავლობაში იყო „ტყავის ბურთის“ რესპუბლიკური კლუბის პრეზიდენტი, არც მისი ხანელობის კლუბს — „პატარა ვერელს“ მოჰკლებია მისი მხარდაჭერა, ამიტომაც მუდამ ხიბარულით ხვდებოდნენ ნორჩები. მისი გამოჩენა ყმაწვილთა ხარბიელზე ნამდვილი ზეიმი იყო. ამ სურათზე სწორედ ერთი ის მომენტია აღბეჭდილი, როცა მოზრდილ პაიჭაძე თბილისის სპორტის სახლში ეწვიებოდეს ნორჩ ფეხბურთელებს.

უკვდავვყოთ!

გარდაიცვალა ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელი ბორის პაიჭაძე, მაგრამ უკვდავებაში აღესრულა ლეგენდა მისი პიროვნების შესახებ. თუ რამ ქართული, ტრადიციული და ზნეობრივი ეპითეტი არსებობს, ყველაფერი გაიმეტებოდა მისთვის. როგორი სიკეთე, სიწრფელე და რაინდობა უნდა ყოფილიყო განსვეტებული ამ ადამიანში, რომ ჩვენი ხალხის ყველა თაობას ერთნაირად ჰყვარებოდა იგი.

ქართული ფეხბურთის თავისუფლებას მაინც მოესწრო ბორის პაიჭაძე. მისი ხელოვნებაც რომ თავისუფლებას მოსწრებოდა, მსოფლიო ფეხბურთის ტიტანთა რიგებშიც იქნებოდა იგი.

ახლავე, ამ მწუხრის ჟამს, ვიდრე მისი სული თავს დაგვტრიალებს, უნდა უკვდავყოთ ლეგენდა მის შესახებ, ვთხოვთ რესპუბლიკის ხელისუფლებას, რათა საქართველოს მთავარ, ეროვნულ სტადიონს მიენიჭოს ბორის პაიჭაძის სახელი.

გულთან ლაბარტყავა, რევაზ გოგოხია, ოთარ ავალიშვილი, გივი მინდიაური, ლონგი ფარცვანია, ლაითა ლაშხია, ავთანდილ ხალვაშაძე, ჯემალ პაჭკორია, გიორგი ადეიშვილი, ირაკლი კალანდია, პარმენ ლემონჯავა, ნუგზარ პაიჭაძე, კარლო ღურწკაია, რიჩარდ [illegible]



„მინდვრის მეფე“

1946 წელი. ეს ის დრო იყო, როცა ბორის პაიჭაძის სახელი ჰქუხდა ჭეყნის და უცხოეთის სტადიონებზე და ჟურნალ-გაზეთები დიდ ადგილს უთმობდნენ ტყავის ბურთის ამ უბადლო ოსტატის გამოსვლებს. აი, ფიზკულტურელის საკავშირო დღისადმი მიძღვნილ გაზეთ „იზვესტიის“ 21 ივლისის ნომერი. აქ მკითხველის ყურადღებას იპყრობს ცნობილი მოსკოველი ჟურნალისტი ქალის ტატიანა ტესის წერილი სათაურით: „უძლიერესთა ბრძოლა“.

„წლევანდელი სპორტული სეზონის ერთ-ერთი თავისებურება ის არის, — წერს ტ. ტესი, — რომ პირველობისათვის ფეხბურთელთა ბრძოლა ძალზე დაძაბულია, აღსავსეა მოულოდნელობითა და მწვავე სიტუაციებით...

მოსკოვის გუნდების ყველაზე საშიში მეტოქეა თბილისის „დინამო“. შარშან მან მეოთხე ადგილი დაიკავა. წლევანდელი ჩემპიონატის პირველ წრეში კი დიდხანს ლიდერობდა.

მოსკოველებმა იხილეს სამხრეთელთა ბრწყინვალე თამაში, რომელიც მახვილგონივრული კომბინაციებით იყო აღსავსე, თბილისელთა ფორვარდი ბორის პაიჭაძე ერთსულოვნადაა აღიარებული „მინდვრის მეფედ“.

პაიჭაძე — ეს არის ფორვარდი, რომელიც ბურთს ხშირად ისეთი მდგომარეობიდან და „წერტილებიდან“ ურტყამს, რომ მაყურებელს აოცებს... ამასთან, ურტყამს ძლიერად და ზუსტად. წამის რაღაც მონაკვეთი სჭირდება მას ბურთის ფეხზე მოსარგებად და ხელსაყრელი ადგილის ასარჩევად...“

მწუხარება

გამოვთქვამთ ჩვენს ღრმა მწუხარებას სასიქადულო მამულიშვილის, ლეგენდარული ფეხბურთელის ბორის პაიჭაძის გარდაცვალების გამო. თანავუგრძნობთ განსვენებულის ოჯახს და ქართული ფეხბურთის ყველა გულშემატკივარს.

ლანჩხუთის რაიონის ფეხბურთის გულშემატკივართა სახელით, საფეხბურთო კლუბ „გურიის“ პრეზიდიუმი.

* * *

გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით ბორის პაიჭაძის ოჯახს გადასცეთ ჩვენი დიდი მწუხარება ლეგენდარული ფეხბურთელის გარდაცვალების გამო.

ვანის საფეხბურთო კლუბი „სულორი“.

* * *

გულისტკივილით შევიტყვეთ ტყავის ბურთის დიდოსტატის ბორის პაიჭაძის გარდაცვალება. ამ მძიმე ჟამს, ჩვენ, ფეხბურთში აფხაზეთის ჩემპიონატის მონაწილენი, ქართველ ხალხთან ერთად ვიხრით ყველა დროის პირველი ქართველი ფეხბურთელის ცხედრის წინაშე და თანაგრძნობას ვუცხადებთ განსვენებულის ნათესავებსა და ახლობლებს.

გრიგორი პოლოსიანი,
აფხაზეთის ჩემპიონატის მთავა-

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏԱԿԱՆ ԽՈՐՀՐԴԱՅԻՆ ՕՐԳԱՆ

ԱՐԱՐԱՏՅԱՆ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԳԵՐԱԳՈՅՆ ԽՈՐՀՐԴԻ ԵՎ ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԺՈՂՈՎՐԴԱԿԱՆ ՊԱՏԳԱՄԱՎՈՐՆԵՐԻ ՀԱՆՐԱՊԵՏԱԿԱՆ ԽՈՐՀՐԴԱՅԻՆ ՕՐԳԱՆ

ՀՈԿՏԵՄԲԵՐԻ 24-Ի ՀԱՂԹԱՆԱԿԻ ՀԱՄԱՐ — 4 ԿՈՊԵԿ

ՀՈԿՏԵՄԲԵՐԻ 24-Ի ՀԱՂԹԱՆԱԿԻ ՀԱՄԱՐ — 4 ԿՈՊԵԿ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏԱԿԱՆ ԽՈՐՀՐԴԱՅԻՆ ՕՐԳԱՆ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԳԵՐԱԳՈՅՆ ԽՈՐՀՐԴԻ ԵՎ ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԺՈՂՈՎՐԴԱԿԱՆ ՊԱՏԳԱՄԱՎՈՐՆԵՐԻ ՀԱՆՐԱՊԵՏԱԿԱՆ ԽՈՐՀՐԴԱՅԻՆ ՕՐԳԱՆ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԱՆԿԱԽ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆՆԵՐԻ ՄԻԱՑՅԱԼ ՀՐԱՊԱՐԱԿԱԳՐԻ ՀԱՄԱՐ ՄՐՑՈՒՅԹ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԱՆԿԱԽ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆՆԵՐԻ ՄԻԱՑՅԱԼ ՀՐԱՊԱՐԱԿԱԳՐԻ ՀԱՄԱՐ ՄՐՑՈՒՅԹ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԱՆԿԱԽ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆՆԵՐԻ ՄԻԱՑՅԱԼ ՀՐԱՊԱՐԱԿԱԳՐԻ ՀԱՄԱՐ ՄՐՑՈՒՅԹ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԱՆԿԱԽ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆՆԵՐԻ ՄԻԱՑՅԱԼ ՀՐԱՊԱՐԱԿԱԳՐԻ ՀԱՄԱՐ ՄՐՑՈՒՅԹ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԱՆԿԱԽ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆՆԵՐԻ ՄԻԱՑՅԱԼ ՀՐԱՊԱՐԱԿԱԳՐԻ ՀԱՄԱՐ ՄՐՑՈՒՅԹ